



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა #27

2014 წლის 30 მაისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტში ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დასახმარებლად თანხების გამოყოფის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებულ „დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გათვალისწინებული თანხიდან, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებზე გაიცეს 23039 ლარი. აქედან:

ა) ზვიად ღარიბაშვილზე (ჭოპორტის თემი, სოფ. ახატანი) – 10772 ლარი;

ბ) ირმა ჯანგირაშვილზე (ჭონქაძის თემი, სოფ. არღუნი) – 7121 ლარი;

გ) ედუარდ დავითურზე (ბაზალეთის თემი, სოფ. საკრამული) – 5146 ლარი

2. საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველ მუხლში მითითებული თანხების კანონმდებლობის შესაბამისად გაცემა.

3. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ცარო სამაგლიშვილი